



საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

ინფორმაცი

თებერვალი/2026

2-3



ჩვეურობა რევიზია

ბიომრავალფეროვნება

ბუნების სფეროვლი და ადამიანის
კეთილდღეობის გარანტი

8



ღიჟა


მდედური
ქართული ხორბალი

4



5

საქართველოს
გეოლოგიური
კვლევების
ინსტიტუტის
არქივი



6-7



მენიციპალური
ნარჩენების
პართია



9

თატყვავილა
GALANTHUS



10

ბიომრავალფეროვნება
გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის
ორ ნარჩენადგენებს



ჩვევების ღვინო

ქვევრის ღვინის
დაყვანვის ქართულ
ტრადიციულ
პეტიოლს 2013 წელს
იუნესკოს (UNESCO)
ერაპატარიადური
კულტურული
მემკვიდრეობის
ქვივის სტატუსი
მიენიჭა, რაც
აპ პეტიოლის
უნიკალურობაზე
მიუთითებს და
გზავნილია პეტილი
ასოფლიოსთვის, რომ
ღვინო უქვიდესი
ქართული კულტურის
შემაღგენელი ნაწილია



საქართველოში ქვევრში ღვინის
დაყვანება 8 ათასი წლის წინ
დაიწყო და ამ ტრადიციას
დღემდე ინარჩუნებენ.

ქვევრი ღვინის დასაყვანებელი
და შესანახი უნიკალური თიხის
ჭურჭელია. საქართველოში
აღმოჩენილი ქვევრის
ტიპის უძველესი ჭურჭელი
განეკუთვნება ძვ. წ. VI-V
ათასწლეულებს. დღეს
არსებული ქართული
ქვევრის ფორმა ძვ. წ. III-II
ათასწლეულში ჩამოყალიბდა.
ამ პერიოდამდე, ძირითადად,
პატარა ქვევრები იყო
გავრცელებული, რომლებიც
სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ
აღემატებოდა და ჰქონდათ
ბრტყელი ძირი და განიერი
მუცელი. ამჟამად ყველაზე
ფართოდ გავრცელებულია
კვერცხისებური ფორმის
ქვევრები.

ქვევრის ჭახვისლეხი ღვინი



ქვევრის ქარვისფერი ღვინო, რაც ტექნოლოგიურად ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოს ნიშნავს, სახელწოდებით „დურდობე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო“, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალს დაემატა. მანამდე, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში სულ 7 ღვინო შედიოდა: „შუშუნა“, „ცქრილა“, „შემარგებელი“, „ლიქიორული“, „ბუნებრივად ტკბილი ღვინოები“, „აისვანი“ და „საფუვრის აპკის ქვეშ დაფარებული ღვინო“. „დურდობე ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მე-8 გახდა.

ქვევრის ტევადობა რამდენიმე ასეული ლიტრიდან იწყება და რამდენიმე ტონას აღწევს. განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც შესაძლოა 6-8 ათასი ლიტრის ტევადობის ქვევრების ნახვაც. ყველაზე გავრცელებულია 1-2-ტონიანი ქვევრები.

ქვევრის ღვინო ზოგადად გულისხმობს ყურძნის ტკბილის გარკვეული რაოდენობის ჭაჭასთან დადუღებას, დაღვინებასა და შემდგომ დაფარებას. პირველი და მნიშვნელოვანი წესი ქვევრში ღვინის დაყენების არის ქვევრში ღვინის დაყოვნება თავისივე ჭაჭაზე როგორც ალკოჰოლური დუღილის, ისე მის შემდგომ პერიოდშიც.

ღვინის დაყენების ტექნოლოგია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია. მაგალითად, კახეთში ალკოჰოლურ დუღილში მონაწილეობს ჭაჭის მთლიანი რაოდენობა, ღვინის დაყენების იმერული წესი კი გულისხმობს საწნახელიდან ქვევრებში ჩასხმულ ტკბილზე არა ჭაჭის მთლიანი რაოდენობის, არამედ მაქსიმუმ ერთი მესამედის დამატებას.

ღვინის თავისივე ჭაჭაზე დასაყოვნებელი პერიოდის განსასაზღვრად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის ჯიშს, ალკოჰოლური დუღილის ხანგრძლივობას, გარემო პირობებს და სხვ. საშუალოდ წითელი ღვინო ქვევრებში მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება, ეს შეიძლება იყოს 7-10 დღე, მაქსიმუმ 2 კვირა. თეთრი ყურძნის შემთხვევაში ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებენ. ჭაჭაზე დიდი ხნით დაყოვნებული ღვინო იძენს მუქ ჩალისფერ, ოქროსფერ ან ჩაისფერ შეფერილობას, გამჭვირვალეა და კრილა, ხასიათდება ხილის ტონებით და ტანინების ზომიერი შემცველობით, არის ბუნებრივად სტაბილური.

ქვევრისთვის საჭირო მასალა თიხა-კირქვას და მცირე რაოდენობით ძვირფას ლითონებს - ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს შეიცავს. კირი, რომელიც ღვინის მგავასთან რეაქციაში შედის, ერთი მხრივ, ამარებს ქვევრის კედლებს, მეორე მხრივ, ბუნებრივი ანტისეპტიკის როლს ასრულებს, რაც მეღვინეობაში, სადაც 400-მდე სახის ბაქტერიასა ცნობილი, მეტად მნიშვნელოვანია.

ქვევრის დამზადებას საშუალოდ 3 თვე სჭირდება. ძირითადი დრო მის ამოშენებასა და გამრობაზე მიდის. ქვევრების ამოშენების შემდეგ მათ საგანგებო ღუმელში ათავსებენ, სადაც გამოწვის ურთულესი ეტაპი იწყება.

მინაში ჩაფლულ ქვევრში ტემპერატურა არ იცვლება და ის მუდმივად ღვინის დუღილისათვის საჭირო 13-15°C-ს ინარჩუნებს. მასში ბუნებრივად და ქრონოლოგიურად მიმდინარეობს ის ქიმიური პროცესები, რომლებსაც ქარხნულ წარმოებაში სპეციალური დანადგარები და დანამატები სჭირდება. სანამ ღვინო დადუღდება, მას ხშირი დარევა სჭირდება, დღეში 4-5-ჯერ. დუღილის დასასრულს ყურძნის ნიჰები, ჭაჭა და კლერტი დაძირვას იწყებს და ქვევრის ფსკერზე გროვდება. წნევის ზემოქმედებით ნიჰნას ლექი გადაეფარება, რის შედეგადაც ნიჰნა და ღვინო ერთმანეთისგან განცალკევდება.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ უმთავრეს რეგიონში - კახეთში ქვევრები მარანშია ჩაფლული, დასავლეთ საქართველოში კი ღვინოს ჰერმეტიკულად დახურულ ჭურებში (ქვევრი) ღია ცის ქვეშ ინახავენ.



საქართველოში აგრეთვე არსებობს ქვევრის ღვინის გამორჩეული სახეობა - მონასტრის, ე. წ. „ზედაშის“ ღვინო. ესაა წითელი ღვინო და გამოიყენებენ საეკლესიო რიტუალების დროს. ზედაშის ღვინის დაყენება არ განსხვავდება ჩვეულებრივი ქვევრის ღვინის დაყენებისგან. ძირითადი განსხვავება არის არა ღვინის ტექნოლოგია, არამედ შინაარსობრივი და დანიშნულებითი მხარე. საზედაშე ღვინოს სჭირდება არა ფილტრაცია ან სხვა პრეპარატებით გაკურნება, არამედ ჭაჭიდან დროული მოხსნა და გადაღების სწორი დროის შერჩევა.

საქართველოში ქვევრის ღვინოს ბევრი ღვინის კომპანია აწარმოებს. ქვევრის ღვინის წარმოებით, საქართველოს გარდა, ბოლო დროს სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ექსპორტზე სულ უფრო მეტი ქართული ქვევრის ღვინო გადის, და მათ შორის ისეთ ტრადიციულ ღვინის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და საფრანგეთი.

ქართული ხორბალი

ქართული ხორბალი, ჩვენი ქვეყნის როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური მემკვიდრეობის ნაწილია. მისი ისტორია მრავალ ათას წელს ითვლის და არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

ქართული ენდემური სახეობები ხორბლის მსოფლიო ჯიშური მრავალფეროვნების საუკეთესო სასელექციო მასალას წარმოადგენს.

UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა. ჩვენი ქვეყნა ცივილიზაციის სათავეებიდან მოდის და მსოფლიო ღირებულებებს ქმნის.



დიკა

ენდემური ქართული ხორბალი

დიკა (*Triticum carthlicum Nevski*) ხორბლის ეს ჯიში გავრცელებულია ძირითადად საქართველოში. მე-20 საუკუნეში მისი ცალკეული ნათესები გამოავლინეს დაღესტანში, ნახიჩევანში, სომხეთსა და თურქეთის საქართველოსთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე. თუმცა, დიკას წმინდა ნათესი მხოლოდ საქართველოში არსებობდა და V საუკუნის ქართულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება.

არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ დიკა საქართველოში ჯერ კიდევ 8000 წლის წინ მოყავდათ. ამ სახეობის განამარხებული მარცვლები აღმოჩენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 ათასწლეულით დათარიღებულ ფენებში შულავერი-შომუს კულტურის არქეოლოგიური ძეგლების გათხრისას (არუხლო, დიდი გორა, შულავერი).

დიკა საგაზაფხულო ხორბალია. ის მთიან ზონაში იყო გავრცელებული და კარგად ეგუებოდა მკაცრ კლიმატს. მისი ნათესები ზღვის დონიდან 1000-2000 მეტრ სიმაღლეზე, ზოგჯერ კი მინათმოქმედების ზედა საზღვრამდე, 2200-2300 მეტრამდეც აღიოდა. მკაცრი კლიმატის პირობებში დიკა მოსავლიანობით აღემატებოდა რბილ ხორბალს. მთაში ზოგჯერ დიკას და ქერის ნარევი ითესებოდა, რომელსაც ქერდიკას, ქერჭრელს უწოდებდნენ.

დიკა წარმოდგენილია 11 სახესხვაობით და ყველა სახესხვაობით წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოში. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო ოთხი: თეთრი, წითელი, შავი და ჯავახეთის დიკა.

ინფორმაციის წყარო: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



დიკასთან საუკეთესო ვარსაცმის აცხობენ. ანიჰვანალოვანად პაღალია პასი B3 ვიტამინის შევსებულება. ასევე, დიდი რაოდენობით შეიცავს E ვიტამინს, რაც ზრდასრული ადამიანის დღიურ რაოდენობად წორავს 14%-ით, 7-დან 11 თვეამდე ბავშვებისთვის კი, 34%-ით აკმაყოფილებს.

საქართველოს გეოლოგიური კვლევების ისტორიული არქივი - პინაკულარი რესურსების ეროვნული საბანკოს პროექტი

საქართველოს ტერიტორია გეოლოგიური მრავალფეროვნებითა და ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით უძველესი დროიდანვე იპყრობდა მკვლევართა ინტერესს. ქვეყნის გეოლოგიური შესწავლის შედეგები ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდა ცოდნის, რუკების, ანგარიშებისა და სამეცნიერო დასკვნების სახით, რაც დღეს ერთიანდება საქართველოს გეოლოგიურ ისტორიულ არქივში - უნიკალურ მემკვიდრეობაში, რომელსაც სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო მართავს.

საქართველო მდიდარია მინერალური რესურსებით, რომლებიც წარმოდგენილია მადნეული, არამადნეული, მინერალური, თერმული და მტკნარი წყლების საბადოებითა და მადანგამოვლინებებით.



საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური სამუშაოები 1850-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ცალკეული სამთამადნო მრეწველობის წარმომადგენელთა მიერ. ამ სამუშაოებს სისტემური და ორგანიზებული სახე მიეცა მხოლოდ 1925 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოყალიბდა სპეციალური გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაცია, რომელიც 1930 წლის პირველი აპრილიდან გადაკეთდა ამიერკავკასიის გეოლოგიურ-ჰიდროლოგიურ-გეოფიზიკურ-ტრესტად, რომლის სისტემაშიც ჩამოყალიბდა წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი (არქივი).

პირველ ხანებში, წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი ახორციელებდა მხოლოდ არსებული მასალის მოძიებას და ცენტრალიზებული საცავის შექმნას, რომლის შედეგად შეგროვდა და გადამუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე 1850-იანი წლებიდან ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების უნიკალური მასალა კერძოდ:

გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური, აგეგმვითი და ძებნა-ძიებით სამუშაოების, აგრეთვე ლაბორატორიული კვლევების, საცდელ-მეთოდური, სამეცნიერო კვლევების და სხვა სახის გეოლოგიური ანგარიშები, რომლებსაც გარდა ისტორიული და სამეცნიერო მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

1938 წლიდან, წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაევა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ყველა სახის გეოლოგიური სამუშაოების რეგისტრაცია, ხოლო შემდგომ, ამ სამუშაოების ამსახველი გეოლოგიური მასალის ინვენტარიზაცია, კატალოგიზაცია და შენახვა, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების პასპორტებისა და კადასტრის შედგენა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ყოველწლიური სახელმწიფო ბალანსის წარმოება, რომელიც ნათელ სურათს იძლეოდა სახელმწიფო წიაღში არსებული სხვადასხვა მინერალური რესურსების ხარისხისა და რაოდენობის შესახებ.

გეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2015 წელს, როდესაც დაიწყო გეოლოგიური ფონდების გაცეფრულება. ამ დროისათვის, ელექტრონულ ფორმატში გადატანილია დაახლოებით 20 000 გეოლოგიური ანგარიში ტექსტური და გრაფიკული დანართებით.

გეოლოგიური ფონდური მასალის სამართალმემკვიდრეა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს არქივის დაცვას, დამუშავებასა და გაცეფრულებას. მასალები წარმოდგენს საქართველოს გეოლოგიური კვლევების მრავალწლიან ისტორიულ მემკვიდრეობას და მნიშვნელოვან საფუძველს ქვეყნის მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის. სწორედ აღნიშნულ ინფორმაციას ეყრდნობა სააგენტო სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემისას.

არქივის გაცეფრულება და სტრუქტურირება ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ისე კერძო სექტორისა და პოტენციური ინვესტორებისთვის. ამით გეოლოგიური მემკვიდრეობა გარდაიქმნება სტრატეგიულ რესურსად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება.

ინფორმაციის წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

**ნარჩენების
პართიის
კოდექსის
შესაბამისად,
პენიციპალური
ნარჩენებით
გარემოს
დაზარალებული
ჭარბად 80-დან
6000 ლარამდეა**



აბაჟი კოდექსის თანახმად, ნარჩენი არის ნებისმიერი ნივთიარება ან ნივთი, როგორცაა ავტომატურად იმორჩება, ავირებს ან ვადღებულა აოიპოროს. ყველაფერი, რასაც აღაპიანი აოიხაარს, დროთა განმავლობაში ნარჩენად გადაიქცევა. რაც უფრო იზრდება აოსახდომის რაოდენობა, აით აბი ნარჩენი ნარაოიპაება. ნარჩენების დიდი რაოდენობით დაგროვება კი, საფრთხეს უქაენს გარემოს, ზყაღს, ჭაარს, ნიღაღს, ფდოარს, ფაუნას, რაც საბოლოოდ აღაპიანის ჭანერთადრეზაზა უარყოფითად აისახება. სწორად აპიტია, უაენიპვედრეზანესია ნარჩენების პართია იბგვარად, რა რაც პიიქდავა ნაქდავი ზიანი აიღებენ გარემოსა და აღაპიანს. ბოლო წდების სტატისტიკა არვენებს, რა ყველაზა ხიირი პენიციპალური ნარჩენებით გარემოს დაზარალებული ფაქტავია

რას ნიშნავს პენიციპალური ნარჩენი

წარმოშობის, ფიზიკური მდგომარეობისა და საშიშროების მიხედვით, სხვადასხვა ტიპის ნარჩენები არსებობს. მაგალითად, სახიფათო, არასახიფათო, ინერტული. თუმცა, ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება მუნიციპალური ნარჩენები, რომელთა გარემოში არასწორ განთავსებაზე ან არასწორად განადგურებაზე საკმაოდ მაღალი ჯარიმებია განსაზღვრული. საყოფაცხოვრებო ნარჩენები საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენებია, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენი კი, საყოფაცხოვრებო და მისი მსგავსი ნარჩენები, რომლებიც არ შეიცავს ტოქსიკურ ან სახიფათო კომპონენტებს. ამგვარი ნარჩენები, ძირითადად, მოიცავს ორგანულ ნარჩენებს, ქაღალდს, პლასტმასს, მინას, ლითონს (მაგალითად კონსერვის ქილები), სახიფათო ნივთიერებებით დაუბინძურებელ ტექსტილს და შეფუთვებს, რომლებიც წარმოიქმნება ფიზიკური პირების საცხოვრებელ სახლებში, ასევე, ადმინისტრაციულ და კომერციულ ობიექტებში. რადგან ბოლო წლებში მსოფლიო მიმართულია ნარჩენის წარმოქმნის შემცირებისა და მისი გადამუშავებისკენ, მუნიციპალური ნარჩენების მართვაც ექვემდებარება შეგროვებას, ტრანსპორტირებას და განთავსებას, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის ან უფლებამოსილი კომპანიის მიერ. მთავარი მიზანია, ნარჩენების მართვა მოხდეს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას. მიზნის მისაღწევად კი, სახელმწიფოსთან და მუნიციპალიტეტებთან ერთად, რომლებსაც რიგი ვალდებულებები აქვთ, თითოეული რიგითი მოქალაქე უნდა ზრუნავდეს.



რა უნდა იცოდეს მოქალაქე და როგორია ჯარიმები

კანონით, აკრძალულია ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ.

თუ პირი რაიმე ღონისძიების შედეგად გარემოს დააბინძურებს, ვალდებულია დაასუფთავოს იგი. ამ შემთხვევაში შესაბამის მუნიციპალიტეტს აქვს უფლება, დამნაგვიანებელს მოსთხოვოს დასუფთავება კონკრეტულ ვადაში. თუ სამართალდამრღვევის იდენტიფიცირება შეუძლებელია, ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში თავად მუნიციპალიტეტს აქვს, კერძო საკუთრებაზე კი, მუნიციპალიტეტი დასუფთავების ვალდებულებას მის მფლობელს აკისრებს.

კანონდარღვევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ჯარიმები მოქმედებს. მაგალითად, 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის მოქალაქეს 80 ლარის გადახდა მოუწევს. ამ წონის ნარჩენით გარემოს საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან დანაგვიანებაზე ჯარიმა 200 ლარია, მანქანიდან დანაგვიანებაზე - მძღოლს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში კი, შესაბამის დამრღვევს 250 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს. 5 ერთეულამდე საბურავით (ველოსიპედის საბურავის გარდა) გარემოს დანაგვიანებაზე სანქცია 500 ლარია, მეტი რაოდენობის საბურავით გარემოს დანაგვიანებაზე კი - 2000 ლარი.

500 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს მოქალაქეს იმ შემთხვევაშიც, თუ გარემოს დაანაგვიანებს 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნით (მათ შორის შუშის ნამსხვრევი, ლურსმანი...).

2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მოცულობის ნარჩენით გარემოს დანაგვიანების შემთხვევაში ფიზიკურ პირს ჯარიმის სახით 500, იურიდიულ პირს კი - 1500 ლარის გადახდა მოუწევს.

1 კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანებაზე ფიზიკური პირის შემთხვევაში ჯარიმა 1000 ლარია, იურიდიული პირის შემთხვევაში კი - 3 000.



თუ ნარჩენი 2 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს ფარავს, დიდი მოცულობის ნარჩენად ითვლება და მისით გარემოს დანაგვიანებაზე ჯარიმა ფიზიკური პირის შემთხვევაში 2000 ლარია, იურიდიული პირის შემთხვევაში კი - 6000.

ნარჩენების მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს აქტით განსაზღვრული ნარჩენების შეგროვების კონტეინერში არადანიშნულებისამებრ მოთავსება გამოიწვევს ფიზიკური პირის 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის კი - 1 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას.

აკრძალულია მუნიციპალური ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების სანჯავ დანადგარში დანჯავ, ვინაიდან ამ დროს გამოყოფილი კვამლი შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებას, რომელიც არა მხოლოდ გარემოს აყენებს ზიანს, არამედ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას და განსაკუთრებით მავნეა ბავშვებისთვის.

შესაბამისად, ბოლო წლებში მუნიციპალური ნარჩენების წვაზეც საკმაოდ მკაცრი სანქციებია - მუნიციპალური ნარჩენების (ფოთლების, ბალის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) წვა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

საბურავების, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის დაწვის შემთხვევაში კი, პირს ჯარიმის სახით სამჯერ მეტი - 1500 ლარის გადახდა მოუწევს.

როგორია 2025 წლის სტატისტიკა

ნარჩენების მართვის ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია. დეპარტამენტის ეკიპაჟები ქვეყნის მასშტაბით 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, რათა დროულად მოხდეს გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე. შედეგად, 2025 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 2 713 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 931 სწორედ მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ფაქტია. 417 კი, მუნიციპალური ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების სანჯავ დანადგარში წვის ფაქტი.

ბიომრავალფეროვნება

ბუნების საფუძველი და ადამიანის კეთილდღეობის გარანტი

ბიომრავალფეროვნება დედამიწაზე გავრცელებული ცოცხალი ორგანიზმების ერთიანობას ნიშნავს და ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და ამავდროულად უმნიშვნელოვანეს სისტემას წარმოადგენს. მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები და მათ შორის არსებული კავშირები ქმნის ბუნებრივ ბალანსს, რომელზეც ადამიანის სიცოცხლე და განვითარებაა დამოკიდებული.

ბიომრავალფეროვნებას ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ის გვანჯდის უმნიშვნელოვანეს ეკოსისტემურ მომსახურებებს: უანგბადს, სუფთა წყალს, საკვებს, კლიმატის რეგულირებასა და სამკურნალო რესურსებს. ბუნებრივი რესურსების გარეშე ვერ იარსებებს ეკონომიკის თითქმის არც ერთი სექტორი: სოფლის მეურნეობა დამოკიდებულია დამმტვერავ მწერებზე, ტურიზმი - ბუნებრივ ლანდშაფტებსა და ეკოსისტემებზე, ხოლო მრეწველობა - ბუნებრივ ნედლეულზე

ბიომრავალფეროვნება დღეს სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას. მიწისა და ზღვის გამოყენების სახეცვლილება, ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაცია, უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელება, გარემოს დაბინძურება და კლიმატის ცვლილება ეკოსისტემების დეგრადაციას იწვევს. ეს პროცესები მხოლოდ ბუნებას არ აზიანებს ისინი პირდაპირ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ბიომრავალფეროვნების კარგვის შესაჩერებლად, 2022 წელს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მხარეთა კონფერენციის მე-15 შეხვედრაზე დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო (GBF). დოკუმენტი განსაზღვრავს ამბიციურ გზას, რომლის მიზანია 2050 წლისთვის მსოფლიომ შეძლოს ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება და მისი რესურსების გონივრული მართვა. საქართველოს, როგორც კონვენციის წევრ ქვეყანას, აქვს ვალდებულება განაახლოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (NBSAP) გლობალური ჩარჩოს შესაბამისად.



სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) მომზადება. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და აღდგენის ეროვნულ ხედვას და საფუძველს უქმნის მდგრად განვითარებას.

ბიომრავალფეროვნების დაცვა მხოლოდ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა არ არის. თითოეულ ადამიანს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა ბუნებრივი რესურსების დამოვით, ნარჩენების შემცირებით, ეკომეგობრული არჩევანის გაკეთებითა და გარემოსდაცვითი ინიციატივების მხარდაჭერით. ბუნების დაცვა მხოლოდ ეკოლოგიური მიზანი არ არის, ეს გრძელვადიანი ინვესტიციაა ადამიანის ჯანმრთელობაში, ეკონომიკურ სტაბილურობასა და მომავალი თაობების კეთილდღეობაში.





თეთრყვავილა GALANTHUS

„გადახანძრის საფრთხის
წინაშე აყოფი ველური
ფლორისა და ფაუნის
სახეობებით საქართველოს
ვაჭროვის მისახაზ“
კონვენციის (CITES) ძირითადი
დაწესდები შეტანილი
ყვავილოვანი მცენარეა

**მრავალი წელია,
საქართველოდან თეთრყვავილას
ბოლქვების ექსპორტი ევროპის
რამდენიმე ქვეყანაში, ყველაზე
დიდი რაოდენობით კი,
ნიდერლანდებში ხორციელდება.**

თეთრყვავილა (Galanthus)
საქართველოში, ძირითადად
დასავლეთისა და ქართლის
ტყეებში, განსაკუთრებით ნოტიო
და ნახევრადჩრდილოვან
ადგილებში გვხვდება.
ადრეულად მოყვავილე მცენარე
მნიშვნელოვან როლს ასრულებს
ეკოსისტემაში; ზამთრის
შემდეგ ერთ-ერთი პირველი
საკვებია ფუტკრებისა და სხვა
მწერებისთვის.

საქართველოს წითელ ნუსხაში თეთრყვავილას რამდენიმე სახეობაა შეტანილი. ბუნებაში მათი ამოძირკვა და გაყიდვა აკრძალულია. პოპულაციები განსაკუთრებით ზიანდება გაზაფხულზე, ყვავილების მასობრივი კრეფის გამო.

ექსპორტის მიზნით
თეთრყვავილას ბოლქვებით
სარგებლობა საჭიროებს როგორც
შესაბამის ლიცენზიას, ასევე,
ექსპორტის ნებართვას, ორივე
სახის დოკუმენტს სსიპ გარემოს
ეროვნული სააგენტო გასცემს.



გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცემა 5 წლიანი ლიცენზიები, რომელიც ითვალისწინებს წლიურად 5 მილიონი ბოლქვით (ჯამში 25 მილიონი) სარგებლობის შესაძლებლობას; ამასთან, ყოველწლიურად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე, სააგენტო ახორციელებს თითოეული ლიცენზიის მფლობელებისათვის ყოველწლიური მოპოვების კვოტების განსაზღვრას.

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს მიერ გაცემულია სამი ლიცენზია, ჯამში წლიურად 15 მილიონი თეთრყვავილას ბოლქვით სარგებლობის მიზნით, აღნიშნული რაოდენობა წარმოადგენს მთლიანი კვოტის 100%-ს.

გაცემული ლიცენზიის პირობის თანახმად, ხდება თეთრყვავილას ბოლქვების კვოტის სრული ათვისება და ექსპორტზე გატანა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

თეთრყვავილა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის ნიდერლანდებში, ძირითადად, იყენებენ პარკებსა და ლანდშაფტურ პროექტებში. თეთრყვავილა გამოიყენება სამეცნიერო კვლევასა და ფარმაცევტიკაში.

ინფორმაციის წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო

რვენი ძველის
ტარიტორიაზე
ფართოდაა
ნარობდენილი
ფრინველების როგორც
ენდემური, ისე სხვა
ძვენებისათვის
დაახასიათებელი
სახეობები.
გაბაზნობთ
საქართველოს ფაუნის 2
ნარობდენად



პიობრავდფაროვნება



საკაკუნა, შავი კოდალა (DRYOCOPUS MARTIUS)

სეკაკუნა, შავი კოდალა (*Dryocopus martius*) - ფრინველი კოდალასნაირთა რიგისა. ტანად დიდია, სხეულის სიგრძე 50 სმ აღწევს. აქვს ღია ფერის ძლიერი, ხიშტისებური ნისკარტი. შეფერილია შავად, კეფა წითელი აქვს. ბინადრობს ევროპისა და აზიის წინვოგან ტყეებში. ბუდობს ფულეროში. სარგებლობა მოაქვს მანვე მწერების განადგურებით. საქართველოში მცირერიცხოვანია, მაგრამ ფართოდ არის გავრცელებული. იკვებება მწერებითა და მათი მატლებით, რომლებიც ხის მერქნიდან ამოაქვს.



ბატკანძერი, კრავიჭამია (GYPAETUS BARBATUS)

ბატკანძერი, კრავიჭამია (*Gypaetus barbatus*) - ქორისებრთა ოჯახის მტაცებელი ფრინველია. მისი სხეულის სიგრძეა 100-115 სმ, ფრთების შლილი 245-272 სმ, მასა 5-7 კგ. აქვს გრძელი და ვიწრო ფრთები, რომლისებური ან სოლისებრი კუდი. თავი და მუცლის მხარე მოყვითალო ან მოთეთროა, თუმცა, იმის გამო, რომ ხშირად იღებება წითელი ფერის თიხებში, ეს ადგილები მონარინჯისფრო უხდება. ტანი და ფრთები მოშავოა, ზემოდან მონაცრისფრო ელფერი. ნისკარტი და ფეხები რუხი. გავრცელებულია ევროპის, წინა და ცენტრალური აზიის და აფრიკის მთებში, იშვიათად დაბლობშიც ჩამოდის.

საქართველოში გვხვდება სვანეთში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მთათუშეთში, ფშავ-ხევსურეთში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ახალციხისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (4800 მეტრამდე ზღვის დონიდან). მალაღი მთის ბინადარია, თავს აფარებს კლდოვან ნაპრალებს, სუბალპური და ალპური სარტყლების ღია, ქვიან ან კლდიან ადგილებს. მკვიდრი ფრინველია. საკვები რაციონის ძირითად ნაწილს დაღუპული ცხოველების ლეში წარმოადგენს, ზოგჯერ წვრილი ცხოველებითაც იკვებება. საკბილოს მალა ფრენის დროს აკვირდება. შეუძლია დიდი ძვლებისა და კუს ბაკნის დამგრევა, ამისათვის მას დიდი სიმძლავრისა და ძირს ახეთქებს.



გამრავლების ციკლი მეტად თავისებურია: შეწყვილება ნოემბერში იწყება და თებერვლამდე გრძელდება. ბუდობს კლდეებში; ბუდე წარმოადგენს ტოტების გროვას, სადაც ხანდახან ძვლებისაა შერეული და დაფარულია ბალახით და ხავსით. დეკემბერში ან თებერვალ-მარტში დებს 2 (იშვიათად 1) მოთეთრო კვერცხს, ყავისფერი ლაქებითა და წინწკლებით. ინკუბაცია 55-60 დღე-ღამე გრძელდება. მარტოვები იჩეკებიან თებერვლის ბოლოს - მარტის დასაწყისში, რომელთაგან უმცროსს გამოჩევიდან რამდენიმე დღეში მშობლები კლავენ და ჭამენ. ბუნებრივ კონკურენტებს შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ორბი, სვავი, ყაჯირი, მთის არწივი. ჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ზოობარკში, მათ შორის, 1976 წელს 2 ბატკანძერი ჰყავდათ თბილისის ზოობარკშიც. შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“.